

მსჯელობა დამოუკიდებლობაზე
პოლიციის ანგარიშვალდებულების საკითხის წამოწევა საჩივრების
დამოუკიდებელი გამოძიების გზით

ავტორი: სტივენ პ. სავაჟი (2012)
ქეთევან თიკანაშვილის თარგმანი



სტატიის თარგმანი მომზადებულია „ლია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) მხარდაჭერით. თარგმანში სრულად არის შენარჩუნებული სტატიის შინაარსი და ავტორის სტილი. თარგმანზე პასუხისმგებელია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)“ და „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC).“ თარგმანის შინაარსი შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას.

ბოლო 15 წლის მანძილზე ბრიტანეთისა და ირლანდიის კუნძულებზე შეიქმნა მთელი რიგი სააგენტოები, რომლებიც საპოლიციო საჩივრებისა და დისციპლინარული გადაცდომების დამოუკიდებელი გამოძიების საშუალებას იძლევა. მოცემული ნაშრომი, ეყრდნობა რა სამი ასეთი სააგენტოს პრაქტიკოსებთან 100-ზე მეტ ინტერვიუს, იკვლევს საპოლიციო საჩივრების დამოუკიდებელ გამოძიებას ორი ძირითადი შეკითხვის დასმის გზით - როგორ განმარტავენ „დამოუკიდებლობას“, როგორც პროფესიულ ფილოსოფიასა და პრეზენტაციის იარაღს ისინი, ვინც გამოძიების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი და რა შეზღუდვებსა და დაბრკოლებებს აღიქვამენ პრაქტიკოსები ბარიერებად ამ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის პროცესში. ამ საფუძველებზე ნაშრომი წარმოგვიდგენს საპოლიციო საჩივრების დამოუკიდებელ გამოძიებას, როგორც მუდმივ ურთიერთქმედებას დამოუკიდებლობისკენ სწრაფვასა და მარეგულირებელი სისტემის წნეხს შორის.

საკვანძო სიტყვები: პოლიცია, საჩივარი, დამოუკიდებლობა, გამოძიება

შესავალი

2011 წლის სექტემბერში, ფართომასშტაბიანი ადგილობრივი გაშუქების ფონზე, ჩრდილოეთ ირლანდიის სისხლის სამართლის გენერალურმა ინსპექტორმა წარადგინა 'ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის ომბუდსმენის აპარატის' შემოწმების ანგარიში. „მამხილებელმა ანგარიშმა ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის ომბუდსმენის აპარატი შეარყია“ - აცხადებდნენ პრესის სათაურები (ბელფასტ ტელეგრაფი, 2011 წლის 5 სექტემბერი); მთავარმა ინსპექტორმა წარადგინა მთელი რიგი კრიტიკული შეფასებები პოლიციის ომბუდსმენის აპარატის (OPONI)მუშაობასთან დაკავშირებით; მათ შორის ძირითადი გახლდათ დაშვება, რომ პოლიციის დისციპლინარული გადაცდომის სავარაუდო შემთხვევების ზოგიერთი ტიპის განხილვამ გამოიწვია „ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის ომბუდსმენის აპარატის საოპერაციო დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი შემცირება“. ([Criminal Justice Inspection for Northern Ireland 2011](#): 5). ეხებოდა რა ბევრის მიერ ზედამხედველობითი ორგანოების 'როლს როისად' მიჩნეულ სააგენტოს, (იხილეთ [Seneviratne 2004](#): 340 და [Prenzler 2011](#): 285), გენერალური ინსპექტორის ანგარიშს განსაკუთრებული რეზონანსი მოყვა. 'დამოუკიდებლობა', განსაკუთრებით - პოლიციისგან, გახლავთ ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის ომბუდსმენის აპარატისა და მსგავსი სააგენტოების *raison d'etre* და მათი სიძლიერის ძირითადი წყარო, თუმცა, იგივე დამოუკიდებლობა (ან მისი ნაკლებობა), როგორც ჩანს, შესაძლოა იყოს ამ სააგენტოების მოწყვლადობის მიზეზიც. „დამოუკიდებლობა“, ორგანიზაციული თვალსაზრისით, ის საფუძველია, რომლიდანაც საპოლიციო საჩივრების სააგენტოები და პარალელური ორგანიზაციები იღებენ თავიანთი ძალაუფლებისა და ლეგიტიმურობის ძირითად ნაწილს. „დამოუკიდებლობა“, თავისი მოცემულობით, ასევე წარმოადგენს საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ეს ორგანიზაციები საბოლოოდ ფასდებიან დადებითად ან უარყოფითად.

საპოლიციო საჩივრების სისტემისა და პროცესის შესახებ დებატებისა და ანალიზის დიდ ნაწილს 'დამოუკიდებლობის' ცნებაზე მსჯელობა მოიცავს. როდესაც პოლიციაში სისტემის

წარუმატებლობა ვლინდება, ხშირად, პრობლემის გადაჭრის გზად საპოლიციო მმართველობის „დამოუკიდებელი“ დონეების შემოღება გვევლინება. როდესაც ზემოთხსენებული სისტემური წარუმატებლობა კონკრეტულად პოლიციის დისციპლინურ გადაცდომას ეხება, გამოსავალი, როგორც წესი, კონკრეტულად საპოლიციო საჩივრების პროცესში დამოუკიდებელი ელემენტებისა და მექანიზმების შემოღებაა. როდესაც თავად საჩივრის მექანიზმები დგება კითხვის ნიშნის ქვეშ, შემფოთებას, როგორც წესი, დამოუკიდებლობის აშკარა „ნაკლებობა“ იწვევს. გამოსავლად, უფრო ხშირად, დამოუკიდებელი ელემენტის *გაძლიერება* ანდა ‘მეტი’ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა გვესახება. ამ კონტექსტში კიდევ უფრო აქტუალური და დომინანტურიც კი ხდება დამოუკიდებლობის ერთ-ერთი განზომილება - საპოლიციო საჩივრებისა და დისციპლინარული გადაცდომის დამოუკიდებელი *გამოძიება*. საპოლიციო საჩივრებისა და დისციპლინარული გადაცდომების დამოუკიდებელი გამოძიების ცნებამ განუზომელი მნიშვნელობა შეიძინა საპოლიციო მმართველობის სფეროში. თუკი საპოლიციო საჩივრების განმხილველი ორგანოს ეფექტურობის საზომი მისი დამოუკიდებლობის ხარისხია, საპოლიციო საჩივრების მექანიზმების ირგვლივ არსებული დებატებითა და ანალიზით ეს ხარისხი ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად პოლიციისგან დამოუკიდებლად ხდება საჩივრების *გამოძიება* კონკრეტულ იურისდიქციებში. (Seneviratne 2004; Prenzler 2011; Filstad and Gottschalk 2011). პოლიციის წინააღმდეგ საჩივრების დამოუკიდებელი გამოძიების ხარისხი ლაკმუსის ტესტად იქცა იმის განსასაზღვრად, არის თუ არა საპოლიციო საჩივრების სისტემა ეფექტური, სანდო და სამართლიანი, ან სულ მცირე, *აღიქმება* თუ არა ეს სისტემა ასეთად. (Waters and Brown 2000) კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც შეფასების ამ ფორმას არეგულირებს, ყურადღებას ამახვილებს დამოუკიდებელი გამოძიების ფარგლებზე; იმაზე - თუ რამდენად შორს წასვლის უფლებას აძლევს დამოუკიდებელ გამოძიებას პოლიციის წინააღმდეგ საჩივრების განხილვის არსებული მექანიზმები. მაგალითად, სენევირატნეს კვლევა გაერთიანებულ სამეფოში საპოლიციო საჩივრების განხილვის ორგანოებზე, ამ ორგანოთა შედარებას ახდენს იმის მიხედვით, უზრუნველყოფენ თუ არა ისინი პირობებს საჩივრების სრულად დამოუკიდებელი გამოძიებისთვის. (Seneviratne 2004).

საპოლიციო მმართველობის კონცეპტუალიზების ცენტრალური ჩარჩო ეყრდნობა მიმართულებას, რომელსაც მკვლევარები საპოლიციო საჩივრების სისტემის ‘სამოქალაქო კონტროლის’ მოდელს უწოდებენ, (Prenzler and Ronken 2001; Prenzler 2004); ამ სისტემაში ნათლად იმიჯნება გამომძიებელი (მოქალაქე) და გამოსამძიებელი ობიექტი (პოლიცია). სამოქალაქო კონტროლის მოდელი საპოლიციო საჩივრებში სამოქალაქო ჩართულობის იდეალურ მოდელად ითვლება - ის, ფაქტობრივად, საჩივრებზე დაფუძნებული საპოლიციო მმართველობის „მწვერვალია“ (Prenzler 2000; 2011; Seneviratne 2004; Smith 2009a); კონკრეტულ იურისდიქციებში საპოლიციო მმართველობის მოქნილობის განსაზღვრით შესაძლებელია იმის შეფასება თუ რამდენად ექვემდებარება საჩივრები და დისციპლინარული გადაცდომები სრულიად დამოუკიდებელ (სამოქალაქო) გამოძიებას. ამ დაშვების ფონზე რა შეგვიძლია ვთქვათ თავად დამოუკიდებელი გამოძიების მუშაობაზე? დამოუკიდებელი გამოძიების ‘არეალზე’ ფოკუსირებას საქმის მხოლოდ ნაწილის გამოაშკარავება შეუძლია; მნიშვნელოვანია ასევე

ხსენებული 'შწვერვალის' გამოკვლევა, რათა მოხდეს საპოლიციო მმართველობის პროცესის ამ კრიტიკული ეტაპის გააზრება.

ეს ნაშრომი, ეყრდნობა რა ბრიტანეთისა და ირლანდიის კუნძულებზე საპოლიციო საჩივრების განხილვაზე პასუხისმგებელი სამი ორგანოს - ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის ომბუდსმენის აპარატი (OPONI), საჩივრების დამოუკიდებელი კომისია (IPCC), და ირლანდიის რესპუბლიკის პოლიციის (გარდა სიოჩანას) ომბუდსმენის კომისია (GSOC) - პრაქტიკოსებთან ინტერვიუს საფუძველზე შეგროვებულ მონაცემებს - მიზნად ისახავს საპოლიციო საჩივრების გამოძიების კონტექსტში 'დამოუკიდებლობის' ცნების შესწავლას ორი ძირითადი შეკითხვის დასმით; პირველი კითხვაა, თუ როგორ განმარტავენ 'დამოუკიდებლობას', როგორც პროფესიულ ფილოსოფიას, ისინი, ვინც უშუალოდ საპოლიციო საჩივრების დამოუკიდებელი გამოძიების უზრუნველყოფაში არიან ჩართულნი - პირები რომლებსაც შემდგომში მოვიხსენიებთ „დამოუკიდებლობის მუშაკებად“. ეს შეკითხვა არსებითად ემსახურება იმ ელემენტების კვლევას, რომლებსაც საკმანი (1991; 1992; იხ. ასევე Chan 1996) მოიხსენიებს 'კულტურული ცოდნის' დონეებად ორგანიზაციაში; უფრო კონკრეტულად კი უწოდებს 'აქსიომატურ ცოდნას' - ანუ ფუნდამენტურ დაშვებებს, რომლებიც გააჩნიათ პროცესის მოქმედ პირებს და იმ სულისკვეთებას, რომელზეც დაფუძნებულია ორგანიზაციის არსებობა; ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საუბარია დაშვებებზე, რომლებიც გააჩნიათ სამოქალაქო ზედამხედველობის სააგენტოებში მომუშავე პირებს. მეორე ძირითადი შეკითხვა შემდეგია: რა ბარიერებს (ასეთების არსებობის შემთხვევაში) მიიჩნევენ დამოუკიდებლობის მუშაკები დამაბრკოლებელ ფაქტორებად დამოუკიდებელი გამოძიების მიზნების განხორციელების საქმეში. ეს შეკითხვა ნაწილობრივ ეხება ზედამხედველობით ორგანოებსა და პოლიციას შორის ურთიერთობის მარეგულირებელი წნების ფორმებს (Makkai and Braithwaite 1992). მარეგულირებელი წნები უნდა განვმარტოთ, როგორც ტექნიკა, რომლითაც დასარეგულირებელი ჯგუფი ვნებს დამრეგულირებლის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობას. (Prenzler 2000: 662) მარეგულირებელი წნების საკითხი საპოლიციო საჩივრებთან დაკავშირებულ კვლევებში მთავარ პრობლემად წარმოჩინდება. (Smith 2009b; 2009c; Prenzler 2004). ერთად აღებული ამ ორი შეკითხვის მიზანია ამოხსნას საპოლიციო მმართველობისა და სამართლის სცენარში შედარებით ახალი პროფესიული ჯგუფის - საპოლიციო საჩივრების ან, უფრო ზოგადად, საჩივრის აღძვრის გარეშე ჩადენილი დისციპლინარული გადაცდომის დამოუკიდებელი გამოძიების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების - დინამიკა. ხსენებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემამდე, წინამდებარე ნაშრომი მოკლედ შეეხება დამოუკიდებლობის დისკურსის როლს სახელმწიფოს რეაგირებაში პოლიციის იმ სისტემურ ხარვეზებსა თუ პრობლემებზე, სადაც დამოუკიდებლობა ერთ-ერთ ან ერთადერთ „გამოსავლად“ ისახება.

*საპოლიციო საჩივრების დამოუკიდებელი გამოძიება როგორც წესრიგის კონტროლის სფეროში
არსებული პრობლემების ერთადერთი გადაწყვეტა*

დამოუკიდებლობის შესახებ დისკურსმა მოიცვა მართლმსაჯულებისა და სამართალდაცვითი სამყარო; განხილვის საგანია როგორც დამოუკიდებელი მართლმსაჯულების (Ferejohn 1998; Bellamy 1996), (ციხისა და პრობაციული სერვისების დამოუკიდებელი ინსპექციების მეშვეობით) ფუნდამენტური ცნება, ისე - წესრიგის დამყარებასთან ასოცირებული მთელი რიგი დამოუკიდებელი ელემენტები (Owers 2006; Morgan 2004), როგორებიცაა, მაგალითად, „დამოუკიდებელი საკონსულტაციო ჯგუფები“ (Drewery 2002) და დამოუკიდებელი, ე.წ. 'არა პროფესიონალური' მნახველების დაშვება პოლიციის სადგურებზე (Blaauw et al. 1997). უფრო მეტიც, დამოუკიდებლობის ცნება წამყვანი იყო იმ ერთ-ერთ მთავარ რეფორმაში, რომელიც 1981 წელს სამეფო კომისიამ განახორციელა სისხლის სამართლის პროცედურაში; საუბარია სისხლის სამართლებრივი დევნის სამსახურის (CPS) შექმნაზე. კომისია, სხვა საკითხებთან ერთად, მიზნად ისახავდა უფრო მეტი „ღიაობისა და ანგარიშვალდებულების“ უზრუნველყოფას სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესში (Phillips 1981: 141) და გადაწყვიტა, რომ ამ მიზნის მისაღწევად უმთავრესი იყო პოლიციასა და სისხლის სამართლებრივი დევნის სისტემას შორის ფუნქციების გამიჯვნის ხარისხი, რაც ეფუძნებოდა ამ უკანასკნელის 'დამოუკიდებლობას': „მოსარჩლეს ექნება დამოუკიდებელი როლი პროცესის უფრო გვიანდელ ეტაპებზეც და, შესაბამისად, აღმატებული სტატუსიც“ (Phillips 1981: 146, emphasis added). რეფორმის მიხედვით, პროკურატურის სამსახურის დამოუკიდებლობა პოლიციისგან ხდებოდა პოლიციის ანგარიშვალდებულების ამ კონკრეტული სფეროს წამყვანი ნიშანი (Ashworth and Redmayne 2010: 195).

მიუხედავად ყველაფრისა, დამოუკიდებლობის დისკურსი, რატომღაც, მაშინ ხდება აქტუალური, როდესაც სამართალდამცავ სააგენტოებში კრიზისს ან კატასტროფას აქვს ადგილი. კრიტიკულ სისტემურ ჩავარდნებზე, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვების თავიდან აცილებადი გარდაცვალების შემთხვევები, პირველადი პასუხი უნდა იყოს „დამოუკიდებელი გამოძიების“ მოთხოვნა და წამოწყება, რომელიც სრულად შეისწავლის იმას, თუ რა წარიმართა არასწორად და ეცდება უზრუნველყოს მომავალში მსგავსი სისტემური ჩავარდნების თავიდან არიდება. ამ მხრივ თვალსაჩინო მაგალითებია ვიქტორია კლიმბის სიკვდილი (Laming 2003) და „სოჰამის მკვლელობები“ (Bichard 2004). ამ საქმეებში დამოუკიდებლობის დისკურსის ჩართვა დაკავშირებულია როგორც *ლეგიტიმურობის*, ისე *ეფექტურობის* საკითხებთან: ლეგიტიმურობასთან იმიტომ, რომ ხსენებულ გამოძიებებს ატარებენ პირები, რომლებსაც არანაირი ინსტიტუციური კავშირი არ აქვთ სისტემურ ჩავარდნაში პოტენციურად მონაწილე სააგენტოსთან; და ეფექტურობასთან - ასეთი გამოძიებების მეტი 'ობიექტურობისა' და მათში ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული გაყალბებების აშკარა არარებობის გამო. ხსენებული მიზეზებით, დამოუკიდებელი გამოძიებები, შესაძლოა, სისტემური ჩავარდნების პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ ნაწილად იქცეს იმ თვალსაზრისით, რომ მათი მიგნებების სანდოობა და ობიექტურობა გზას გაკვალავს სისტემური რეფორმისთვის, როგორც ეს ლამინგისა და ბიჩარდის გამოძიებებმა შეძლეს (Hudson 2005; იხ. ასევე Savage 2007).

ერთის მხრივ, გამოვლენილი სისტემური ჩავარდნებისა და პრობლემების და, მეორეს მხრივ, ლეგიტიმურობისა და ეფექტურობის ცნებებთან ასოცირებული დამოუკიდებლობის დიკურსის კომბინაცია გახლავთ იდეურად წამყვანი ბრიტანეთისა და ირლანდიის კუნძულების სამი ორგანოს - OPONI, IPCC და GSOC ჩამოყალიბებაში. სწორედ ამ სამი სააგენტოს კვლევას ეფუძნება ეს ნაშრომი. სამივე ინსტიტუტი ჩამოყალიბდა სფეროში არსებული არახელსაყრელი მდგომარეობის გამო, რომელმაც შექმნა კლიმატი საჩივრების დამოუკიდებელი გამოძიების პროცესის დაძვრისთვის.

ისტორიულად, OPONI გახლავდა საპოლიციო საჩივრების პირველი ორგანო ბრიტანეთისა და ირლანდიის კუნძულებზე, რომელმაც შემოიღო საჩივრებისა და დისციპლინური გადაცდომის დამოუკიდებელი გამოძიების პრაქტიკა და ამით მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ პოლიციის გარდა სხვა ორგანოსაც შეიძლება მიენიჭოს პროფესიული გამოძიების ჩატარების უფლებამოსილება. OPONI-ს შექმნაში მთავარი როლი ითამაშა სამშვიდობო პროცესმა ჩრდილოეთ ირლანდიაში და, მის ფარგლებში, ულსტერის სამეფო პოლიციის მემკვიდრეობამ (Mulcahy 2006). სამშვიდობო პროცესის მტკიცე გადაწყვეტილება იყო ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის გარდაქმნა გაზრდილი ანგარიშვალდებულებისა და ადამიანის უფლებებზე მეტი რეაგირების კუთხით (McGarry and O'Leary 1999); ამ მიზნის მიღწევის მთავარმა მექანიზმმა, პატენის კომისიამ (Patten 1999), ხაზგასმით დაუჭირა მხარი საპოლიციო საჩივრების სისტემის რეფორმას, რომელიც აღმოცენდა მორის ჰეისის, ჩრდილოეთ ირლანდიის ყოფილი მთავარი ომბუდსმენის (Hayes 1997) მიერ საპოლიციო საჩივრების სისტემის განხილვის ანგარიშის შემდეგ. აღნიშნულ ანგარიშში იკვეთებოდა მნიშვნელოვანი ხარვეზები მაშინდელ საპოლიციო საჩივრების დამოუკიდებელ კომისიაში, რომელიც საჩივრების განხილვის მხოლოდ დამოუკიდებელი *ზედამხედველობის* ნებართვას იძლეოდა (Weitzer 1995); ამ ანგარიშმა გაუკაფა გზა იმას, რაც ჰეისმა, „დამოუკიდებლობის, დამოუკიდებლობისა და დამოუკიდებლობის“ (ციტირებული Mulcahy 2006: 103), მთავარი ღირებულებით მოტივირებულმა, ალტერნატიულ გამოსავლად შემოგვთავაზა: საპოლიციო საჩივრებისა და დისციპლინური გადაცდომების დამოუკიდებელ *გამოძიებაზე* სრული პასუხისმგებლობით აღჭურვილი ორგანოს - ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის ომბუდსმენის ოფისის ჩამოყალიბება. PONI დაარსდა 1998 წლის საპოლიციო აქტის საფუძველზე (ჩრდილოეთ ირლანდია).

IPCC-ის შექმნასაც ფუნდამენტურ პრობლემებზე ფუნდამენტური გამოსავლის ძიება დაედო საფუძველად; აქ, ბევრი თვალსაზრისით, განმეორდა ჩრდილოეთ ირლანდიის გამოცდილება - საჩივრების გამოძიების დამოუკიდებელი *ზედამხედველობის* სისტემა (საპოლიციო საჩივრების ორგანო) ჩანაცვლდა ორგანოთი, რომელსაც საჩივრებისა და დისციპლინური გადაცდომის დამოუკიდებელი *გამოძიების* უფლებამოსილება ჰქონდა (IPCC) (Smith 2009a). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისსა და უელსში საპოლიციო საჩივრების დამოუკიდებელი გამოძიების სისტემის საჭიროება 1990-იანებში თანდათან იზრდებოდა (Smith 2004), ამ შემთხვევაში, მთავარი მოტივატორი იყო სისტემური ჩავარდნა, რომელიც უკავშირდებოდა მართლმსაჯულების არასათანადო განხორციელების კონკრეტულ ფორმას - პოლიციის რეაგირებას სტეფენ ლოურენსის მკვლელობაზე (Savage 2007: 38-40). სტეფენ ლოურენსის

გამოძიების ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია იყო საპოლიციო საჩივრების სისტემის რეფორმა სრულიად დამოუკიდებელი გამოძიების უზრუნველყოფის კუთხით (Macpherson 1999: 333), რაც კანონიერად შევიდა ძალაში 2002 წლის საპოლიციო რეფორმის შედეგად.

IPCC-ის ფეხდაფეხ მოხდა მისი ირლანდიური კოლეგა ინსტიტუტის GSOC-ის ჩამოყალიბება; IPCC-ის მსგავსად - სისტემური ჩავარდნების საპასუხო იარაღად. ამ შემთხვევაში დამოუკიდებლობის დისკურსის აღმასვლის მაპროვოცირებელი ფაქტორი იყო პოლიციის დისციპლინური გადაცდომის გამოაშკარავება ირლანდიის რესპუბლიკური არმიის (IRA) ტერორისტულ საქმიანობასთან ბრძოლის საქმეში, რესპუბლიკის კონკრეტულ რეგიონში - დონეგალში. ირლანდიის მთავრობის ზეწოლით მოცდა ირლანდიური პოლიციის (გარდა შიოხანას) საქმიანობის სრული გამოძიება და, 2002 წელს, შეიქმნა „მორისის ტრიბუნალი“ მოსამართლე ფრედერიკ მორისის ხელმძღვანელობით. ტრიბუნალის შუალედურმა ანგარიშმა ხაზი გაუსვა მნიშვნელოვან ინსტიტუციურ ხარვეზებს გარდაში და, ნაწილობრივ ამის საპასუხოდ, მთავრობამ წარადგინა 2005 წლის გარდა შიოხანას აქტი. აქტმა შექმნა ნიადაგი ირლანდიური პოლიციის ინსტიტუციური რეფორმებისთვის (Conway and Walsh 2011:249-50); დამოუკიდებლობის დისკურსი გამოვლინდა ორი საკვანძო ზომის მიღებაში - ერთი მხრივ, გარდას საქმიანობისა და მის მიერ რესურსების გამოყენების ზედამხედველობის დამოუკიდებელი სტატუსის მქონე ორგანოს - გარდას ინსპექციის შექმნაში და, მეორე მხრივ, GSOC-ის, როგორც ფართო კრიტიკის ობიექტის -საჩივრების კოლეგიის - ჩამნაცვლებელი სააგენტოს ჩამოყალიბებაში (Conway and Walsh 2011: 251). GSOC გარდას წინააღმდეგ საჩივრების დამოუკიდებელი გამოძიების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირველი ინსტიტუტი იყო ირლანდიაში.

კრიზისზე სახელმწიფო რეაგირების მოდელებში მსგავსების მიუხედავად, დამოუკიდებელი გამოძიების არეალის მიხედვით, ხსენებულ სამ ორგანოს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია. OPONI ეფუძნება დაშვებას, რომ გამოძიებს მისი უფლებამოსილების არეში მოხვედრილ ყველა საჩივარს და, დამატებით - ნებისმიერ დისციპლინურ გადაცდომას, თუნდაც ისეთს, რომელზეც საჩივარი არ შედის. IPCC ჩამოყალიბდა იმ მიზნით, რომ გამოეძიებია საჩივრების მცირე წილი - იგი უძღვება და მართავს სხვა კატეგორიის საჩივრებს კვლავაც სრულად ტოვებს ბევრ საჩივარს თავად პოლიციის კომპეტენციაში. თუმცა, IPCC-ის, OPONI-ის მსგავსად, ასევე გააჩნია უფლებამოსილება გამოეძიოს შესაძლო დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებული შემთხვევები, რომლებიც არ საჩივრდება და, უფრო მეტიც, იმოქმედოს როგორც ორგანომ, სადაც მოსარჩლეები პოლიციის მიერ სარჩელებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს გაასაჩივრებენ. GSOC, IPCC-ის მსგავსად, იძიებს მხოლოდ საჩივრების მცირე ნაწილს: მას შეუძლია უხელმძღვანელოს სხვა საჩივრების გამოძიებას და, როგორც IPCC, ტოვებს საკითხს პოლიციის კომპეტენციაში. GSOC, ასევე, უფლებამოსილია გამოეძიოს შესაძლო დისციპლინური გადაცდომის შემთხვევები, რომლებიც არ საჩივრდება, მაგალითად, როგორცაა „მე-2 მუხლის მიმართებები“ (იხილეთ ქვემოთ).

OPONI-ისთან შედარებითი თვალსაზრისით, IPCC და GSOC გვთავაზობენ, რასაც შეიძლება ეწოდოს *დიფერენცირებული დამოუკიდებლობა* - „პირობითი დამოუკიდებლობის“ ფორმა. ეს კი, როგორც წესი, სისუსტედ აღიქმება. მაგალითად, 2010 წელს, თემთა პალატის შინაგან საქმეთა შერჩეულმა კომისიამ გააკრიტიკა IPCC იმის გამო, რომ ის სრულად იძიებს არსებული საჩივრების მხოლოდ 1 პროცენტს, დანარჩენი 99 კი რჩება „პოლიციის მიერ პოლიციის გამოსაძიებლად“ (HASC 2010: 5). დიფერენცირებული დამოუკიდებლობა, რომლის ფარგლებშიც მხოლოდ ორგანიზაციულ პროცესში „გაცრილი“ საჩივრები მოიპოვებენ დამოუკიდებელი გამოძიების კვალიფიკაციას, პოტენციურად ყოველთვის ღიაა იმ კრიტიკული კომენტარისადმი, რომ იგი არ უზრუნველყოფს პოლიციისგან დამოუკიდებლობის საკმარის ხარისხს (Seneviratne 2004). დამოუკიდებელი გამოძიების „შედწევადობის“ პრობლემა დებატების მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა ის ასევე ბადებს შეკითხვას - რა ხდება და რა გავლენებთან გვაქვს საქმე მაშინ, როდესაც საჩივარი დამოუკიდებელი გამოძიების საგანი ხდება.

„დამოუკიდებლობის“ გამოძიება; „დამოუკიდებლობის მუშაკთა“ კვლევა

ზემოთ განხილული საპოლიციო საჩივრების სისტემის რეფორმების ერთ-ერთი შედეგია განსახილველ იურისდიქციებში ახალი ტიპის სამართალდამცავი პერსონალის - ეგრეთ წოდებული „დამოუკიდებლობის მუშაკთა“ გაჩენა. ზოგადად რომ ვიმსჯელოთ, საპოლიციო საჩივრებში დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად „დამოუკიდებლობის მუშაკთა“ სამი კატეგორია ჩამოყალიბდა. თანმიმდევრულად, პროცესიულად და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, ეს კატეგორიები შემდეგია: პირველი - პირები, რომლებიც სამართალდარღვევის ცალკეულ შემთხვევებს საქმის მასალების მიხედვით სწავლობენ ანუ „საჩივრების ოფიცრები“ (პოზიციის დასახელება განსხვავდება ორგანიზაციის მიხედვით), მეორე - თავად გამომძიებლები და მესამე - „კომისიონერები“, ომბუდსმენი და სხვა უფროსი თანამდებობის მქონე პირები. თითოეულს კონკრეტული და მნიშვნელოვანი როლი აქვს, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს დამოუკიდებელი ზედამხედველობის ლექსიკონში.

საჩივრების ოფიცრები საჩივრების მეთვალყურეობის ‘წინა ხაზზე’ დგანან. მათი როლები განსხვავდება ზემოთხსენებულ სამ ორგანიზაციაში, თუმცა, სამივეში გააჩნიათ კურირების მნიშვნელოვანი ფუნქცია. პირველ ყოვლისა, ისინი ეკონტაქტებიან მოსარჩლე მხარის თავდაპირველ კონტაქტებს ტელეფონით/ელ-ფოსტით ან პირადად (PONI და GSOC ორივე უზრუნველყოფს ისეთ ადგილებს, სადაც მოსარჩლეებს შეუძლიათ საჩივარი პირადად, ადგილზე მისვლით შეიტანონ) და წყვეტენ შედის თუ არა საჩივარი მათი ორგანიზაციების კანონიერი უფლებამოსილების ფარგლებში; ასეთ შემთხვევაში, მათ თავიანთი ხმა აქვთ ორგანიზაციის შიგნით საჩივრის რანგობრივი აღმასვლის პროცესში. საჩივრების ოფიცრებს ეკისრებათ პოლიციის ორგანიზაციებთან თავდაპირველი და რეგულარული საკონტაქტო პირების როლი და ეს კონტაქტი, როგორც წესი, ხდება საპოლიციო ძალების პროფესიული სტანდარტების დეპარტამენტების (PSDs) მეშვეობით. ეს როლი მოიცავს პროფესიული სტანდარტების დეპარტამენტების მიერ მიმართვების დამუშავებას ისეთი საჩივრებისთვის რომელიც პოლიციაში შევიდა და დეპარტამენტმა საჭიროდ ჩათვალა განსახილველად გადაცემა ან ისეთ

შემთხვევებში, როდესაც საჩივრების ორგანოსთვის ავტომატური მიმართვა კანონითაა გათვალისწინებული, მაგალითად, პოლიციასთან კონტაქტის შემდგომი გარდაცვალების შემთხვევებში (მე-2 მუხლის მიმართებით). IPCC-ის შემთხვევაში, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, საჩივრების ოფიცრები განიხილავენ და წყვეტენ პოლიციის მიერ საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევებს; ისინი, ასევე, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საჩივრების ზედამხედველობითი გამოძიების პროცესებში. ამ კონტექსტში აზრი ისაა, რომ საჩივრების ოფიცრები ასრულებენ რეალურ *საგამოძიებო* სამუშაოს და „წინა ხაზის“ მუშაკებზე ბევრად დიდი როლი აქვთ. „დამოუკიდებლობის“ ბუნებასა და არსზე მათი შეხედულებები კვლევის პროცესისთვის უდიდესი მნიშვნელობისაა.

თავად გამომძიებლები, რა თქმა უნდა, პოლიციის საჩივრებისა და დისციპლინური გადაცდომების დამოუკიდებელი გამოძიების პროცესში ცენტრალური მოთამაშეები არიან. მათ ენიჭებათ პოლიციის ოფიცრის უმეტესი, თუ არა ყველა, უფლებამოსილება - როგორცაა დაკავება, ბინის გაჩხრეკა და გამოძიების ჩატარება მცირე საჩივრებიდან დაწყებული დამთავრებული, მაგალითად პატიმრობაში გარდაცვალების შემთხვევებით. საჩივრების გამომძიებელთა წინა კარიერული პროფილის განხილვა ამ ნაშრომის ფარგლებს ცდება, მაგრამ, ნათელია, რომ ბევრ გამომძიებელს სამუშაოს დაწყებამდე ჰქონდა გამოძიების ჩატარების გამოცდილება; ბევრს - როგორც პოლიციის ოფიცერს, სხვებს კი ისეთ სფეროებში, როგორებიცაა თაღლითობა და გამოძიებები ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში. თუმცა, ზოგიერთი გამომძიებელი შესაბამისი გამოცდილების გარეშე მოვიდა ორგანიზაციაში და, როგორც იტყვიან, „ნულიდან დაიწყო გადამზადება“ რომ გამომძიებელი გამხდარიყო. გამომძიებელთა შეფასების ჩარჩო და პოზიციის დასახელებები მსუბუქად განსხვავდება სამივე განსახილველ ორგანოში, „გამომძიებლიდან“ „უფროსი გამომძიებლის მოადგილემდე“ და „უფროსი გამომძიებლამდე“. უფროსი გამომძიებლები, როგორც წესი, უძღვებიან გამომძიებელთა გუნდს და განიხილავენ თავისი გუნდის გამომძიებელთა მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებს.

„დამოუკიდებლობის მუშაკთა“ მესამე ჯგუფი მუშაობს ყველაზე მაღალ სტრატეგიულ საფეხურზე და ასრულებს ისეთ საქმეებს, როგორებიცაა საჩივრების გამოძიების შიდა მეთვალყურეობა; საგამოძიებო გუნდების გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების გადახედვა, ყველაზე კრიტიკული და მაღალი პროფილის საქმეების შედეგებზე გადაწყვეტილების მიღება; და კავშირი პოლიციის ძალების ყველაზე უფროს დონეებთან და სხვა მაღალი რანგის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის - მთავრობასთან. ამ ორგანიზაციულ დონეზე ობიექტურობისკენ ყველაზე მეტად მიმართული ელემენტია „კომისიონერი“, რომელიც, მრავალი თვალსაზრისით, თავად დამოუკიდებლობის განსახიერებაა. კომისიონერებს ნიშნავს თავად შესაბამისი სახელმწიფო მინისტრი და მისი პასუხისმგებლობაა საჩივრების სისტემის, თუ არა მთლიანად პოლიციის სისტემის, მიმართ საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცება. ჩრდილოეთ ირლანდიას მხოლოდ ერთი ასეთი კომისიონერი ჰყავს - პოლიციის ომბუდსმენი.

IPCC-ში ერთი უფროსი კომისიონერი და ათამდე კომისიონერია (რეგიონალური და/ან ფუნქციური ნიშნით), ხოლო GSOC-ში, სამი კომისიონერია, რომელთაგანაც ერთი „უფროსი კომისიონერია“. კომისიონერების გარდა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საქმეში უფროსი როლის მფლობელები და წამყვანი მოთამაშეები არიან უფროსი ადმინისტრაციული, გამოძიების

დირექტორები (ყველაზე მაღალი საგამომიებო დონე), იურიდიული ოფიცრები და კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები.

ამ ნაშრომის მთავარი მიმართულებაა დამოუკიდებლობის მუშაკთა ხსენებული სამი ჯგუფის მიერ, სამოქალაქო ზედამხედველობის კონტექსტში, „დამოუკიდებლობის“ ბუნებისა და გამოწვევების ინტერპრეტაცია. მათი, როგორც დამოუკიდებლობის ზედამხედველობის საქმეში მთავარი მოთამაშეების, აღქმა დამოუკიდებლობისა და იმის, თუ რამ შეიძლება შეაფერხოს მისი მიღწევა, ფასეული წყაროა საპოლიციო საჩივრების დამოუკიდებელი გამოძიების სამყაროში შესაღწევად. სწორედ ამ სამყაროს ჩასაწვდომად დაიგეგმა კვლევითი პროექტი, რომელშიც ჩართული იყო სამი ორგანო - PONI, IPCC და GSOC და რომელიც ძირითადად ეყრდნობოდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების ფართო პროგრამას გამომძიებლების/უფროსი გამომძიებლების (შერჩეულს წინა გამოცდილებაზე, პოზიციაზე და გენდერზე დაყრდნობით $n = 83$), საჩივრების ოფიცრების (შერჩეულს პოზიციასა და გენდერზე დაყრდნობით $n = 20$), და უფროსი როლის მფლობელების (შერჩეულს პოზიციაზე დაყრდნობით $n = 18$) წარმომადგენლობით ნიმუშებთან. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მიზანია მონაცემების შეგროვება და შესწავლა დამოუკიდებელი გამოძიების სხვა ასპექტებისაც, როგორებიცაა საჩივრების გამოძიების კულტურული პროფილი და კულტურული დინამიკა, ურთიერთობა პოლიციის ორგანიზაციებთან და საჩივრის მხარეებთან ურთიერთობის ხასიათი, მთავარი მიმართულება მაინც გახლავთ დამოუკიდებლობის დისკურსი დამოუკიდებლობის მუშაკებს შორის: ერთის მხრივ, როგორ აღიქმება „დამოუკიდებლობა“ და, მეორეს მხრივ, რამდენად დგას ის რისკის ქვეშ და, თუ დგას - რატომ.

„დამოუკიდებლობის“ განმარტება

იმ ორგანიზაციისთვის მუშაობა, რომლის *raison d'être* „დამოუკიდებლობაა“, მოითხოვს ორგანიზაციის წევრებისგან „პროფესიული ფილოსოფიის“ ან აქსიომატური ცოდნის იმ ფორმების ფლობას, რომლებიც ატარებენ დამოუკიდებლობის არსს პრაქტიკაში. დამოუკიდებლობის პროფესიონალების, როგორც წინა ხაზის მუშაკებისა თუ უფროსი პოზიციის მფლობელების, დამოუკიდებლობის სტატუსი მუდმივი გამოწვევის წინაშე დგას. დამოუკიდებლობის პრაქტიკული, ოპერაციული არსის გარკვეული შეგრძნების გარეშე თითქმის წარმოუდგენელი იქნებოდა ასეთ გამოწვევებთან გამკლავება.

ამ მიზეზების გამო მოცემული კვლევის მონაწილეებს ვთხოვეთ დამოუკიდებლობის თავიანთი განსაზღვრების და პროფესიული კონცეფციების გაზიარება - რას ნიშნავს მათთვის დამოუკიდებლობა თავისი არსით. შედეგად მივიღეთ დამოუკიდებლობის მნიშვნელობის სამი პირველადი კონცეფცია - კონცეფციები, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და კვეთს კიდევ ერთმანეთს, მაგრამ არაა ერთნაირი. პირველი ასეთი კონცეფციაა „მიუკერძოებლობა“, მეორე - „დისტანცია“ პოლიციისგან, მისგან „გამიჯვნა“ და მესამე - „ობიექტურობა“. ესენი არ არიან და არც იყვნენ აღქმულნი დამოუკიდებლობის ურთიერთგამომრიცხავ ცნებებად. რესპონდენტთა მცირე ნაწილმა, დამოუკიდებლობაზე

მსჯელობისას დაასახელა ერთზე მეტი ცნება. თუმცა, აშკარა გახლდათ დამოუკიდებლობის მუშაკების შეჯგუფება სამი ხსენებული ცნებიდან ერთ-ერთის გარშემო.

დამოუკიდებლობა როგორც „მიუკერძოებლობა“ : „ზუსტად შუაში“

დამოუკიდებლობის ყველაზე გამორჩეული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა და GSOC-ს გამოკითხულთა თითქმის ორმა მესამედმა დაასახელა „მიუკერძოებლობა“, ნეიტრალურობა; საუბარია საჩივრის პროცესის სხვადასხვა მხარეებს შორის შუალედურ მოქმედებაზე. მაგალითად, ერთ-ერთი უფროსი თანამდებობის მფლობელმა განაცხადა:

დამოუკიდებლობა ნიშნავს გამოძიების შედეგზე გადაწყვეტილების მიღების დამოუკიდებლობას; ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს დამოუკიდებლობას პოლიციისგან, მოსარჩლეებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან (SR 13)

ამის მსგავსად, ერთ-ერთმა საჩივრების ოფიცერმა დამოუკიდებლობა განმარტა როგორც:

... არც პოლიციისთვის და არც მოსარჩლისთვის მოქმედება. ჩვენი ფუნქციაა მიუკერძოებლად დავადგინოთ რა მოხდა... ვფიქრობ, დამოუკიდებლობა საბოლოო ჯამში მიუკერძოებლად დარჩენის მცდელობაა. (CW 20)

დამოუკიდებლობის, როგორც მიუკერძოებლობის ცნება, უბრალო შეხედულებაზე ბევრად მეტია; ის მნიშვნელოვანი იარაღია იმ გამომძიებლის არსენალში, რომელსაც უწევს საჩივრის ორივე „მხარესთან“ ურთიერთობა. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა თქვა:

ვცდილობ დასაწყისიდანვე ნათელი გაგხადო ყველაფერი პოლიციის ოფიცრებისა და ოჯახებისთვის (ანუ მოსარჩლეებისთვის), რადგანაც ჩვენ გვაქვს ვალდებულება ორივეს მიმართ, მაგრამ ამავე დროს ვრჩებით მათ შორის და უნდა ვიყოთ მიუკერძოებლები. მტკიცებულებები, რომლებსაც შევაგროვებთ სრულიად ობიექტური უნდა იყოს... ყოველ გამოძიებაში ნათელს ვხედავ, რომ ჩვენ არ ვართ აქ ვინმეს მხარდასაჭერად, ჩვენ ვერ მივცემთ თავს იმის უფლებას, რომ ამ საქმეში რომელიმე მხარე დავიჭიროთ. რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ ორივე მხარის საზრუნავს, მაგრამ უნდა დავრჩეთ მიუკერძოებლებად. (IO 50)

ის ფაქტი რომ მიუკერძოებლობა და ნეიტრალურობა წამყვანი ცნებებია დამოუკიდებლობის მუშაკთა მიერ „დამოუკიდებლობის“ აღქმაში, შესაძლოა გამომდინარეობდეს იმ კონკრეტული როლიდან, რასაც ისინი ასრულებენ ეგრეთ წოდებულ საჯარო ნარატივებთან დაკავშირებულ საჩივრებში. გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა გაუსვა ხაზი იმას, რომ პოლიციის საჩივრების გამოძიება განსხვავდება სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებისგან. სტანდარტულ სისხლის სამართლებრივ გამოძიებაში ფაქტი, რომ დანაშაული ჩადენილია იშვიათად დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. საკითხავია ვინ ჩაიდინა იგი; ასე რომ, გამოძიებამ უნდა გამოაშკარავოს დამნაშავე და შეაგროვოს მტკიცებულება სისხლის სამართლებრივი დევნისთვის. საჩივრების გამოძიება კი ნაკლებად კითხულობს „ვინ ჩაიდინა“, წამყვანია ის, თუ „რა მოხდა“. „ვინ“ შეკითხვაზე პასუხი, როგორც წესი, თავიდანვე ცხადია - საჩივარი რომ შედგეს, განსაზღვრული უნდა იყოს დამნაშავე პოლიციის ოფიცერი. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ის, თუ რა მოხდა, მაგალითად, გამოიყენა თუ არა პოლიციამ გადამეტებული ძალა პიროვნების დაკავებისას.

საჩივრების გამოძიების უმრავლესობისთვის, გამოძიების როლია იმის გადაწყვეტა, სადავო ნარატივებიდან რომლის გამყარება შეიძლება მტკიცებულებებით - - მოსარჩლისა თუ პოლიციის ოფიცრის დებულების. მოუკერძოებლობა გადაწყვეტია, რადგან სადავო დებულებების წინაშე გამოძიება უნდა იყოს და უნდა აღიქმებოდეს კიდევ მოუკერძოებლად.

დამოუკიდებლობა, როგორც დისტანცია პოლიციისგან

დამოუკიდებლობის რიგით მეორე ყველაზე ხშირად ნახსენები კონცეფცია გამოკითხულთა მეოთხედის მიერ (GSOC-ში კი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მხოლოდ სამი გამოკითხულის მიერ) გახლდათ დისტანცია. ეს ცნება დამოუკიდებლობას ბევრად უფრო განსხვავებულად წარმოგვიდგენს, ვიდრე მოუკერძოებლობის ცნება: სადავო ნარატივის ორ მხარეს შორის ნეიტრალურობის შენარჩუნების ხაზგასმის ნაცვლად, პრიორიტეტულია ერთ-ერთ მხარესთან - პოლიციასთან - ურთიერთობის არ ქონა. ბევრმა დამოუკიდებლობის ბაზისურ საზომად გამოიყენა გამიჯვნა, დისტანცირება პოლიციის გამოსაძიებელი ორგანოსგან. ერთ-ერთმა გამომძიებელმა ეს აზრი ასე გამოხატა:

... [დამოუკიდებლობა] ნიშნავს პოლიციასთან ურთიერთობის არ ქონას; რომ არ აღვიქმებოდეთ პოლიციისთვის მომუშავეებად და ვიყოთ სრულიად ცალკე მდგომი ორგანო (IO 15)

სხვა გამომძიებელმა განაცხადა, რომ დამოუკიდებლობა:

არის პოლიციისგან დამოუკიდებლობა; ის - რომ პოლიციამ ვერ მართოს საქმიანობის ვერცერთი მხარე და არ ვგრძნობდეთ პოლიციისადმი რაიმე სახის მიკუთვნებულობას (IO 27)

ერთ-ერთი უფროსი თანამდებობის მფლობელმა დისტანციის ცნება „ანგარიშვალდებულების“ ტერმინით გამოხატა:

... დამოუკიდებლობა ჩემთვის ანგარიშვალდებულების არ ქონაა იმ ორგანიზაციის მიმართ, რომელსაც ვიძიებ (SR 7)

დამოუკიდებლობის პოლიციისგან დისტანცირებად განხილვის ფესვები დამოუკიდებელი გამოძიების ინიცირების თავდაპირველ მიზნებში უნდა ვეძებოთ. დამოუკიდებელი მეთვალყურეობის ორგანოები „პოლიციის მიერ პოლიციის ზედამხედველობისთვის“ ალტერნატივის მოსაძებნად შეიქმნა. ამ ორგანოების არსებობის საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი პოლიციის ორგანოები არ არიან. PONI, IPCC და GSOC თავიანთ არსებობას უნდა უმაღლოდენ პოლიციის მიერ მართული საჩივრების გამოძიების ჩავარდნებს. პოლიციისგან გამიჯვნა არის კიდევ მათი არსი. მეტიც, დამოუკიდებელი გამოძიების ევროპული ჩარჩო მტკიცედ უჭერს მხარს პოლიციისგან (ტექნიკურ) გამიჯვნას, როგორც ევროპული სასამართლო პრაქტიკიდან აღმოცენებულ ერთ-ერთ მთავარ პრინციპს. ევროპული პარტნიორები კორუფციის წინააღმდეგ (EPAC), ორგანო რომელიც წარმოადგენს ზედამხედველობით სააგენტოებს ევროპის მასშტაბით, ერთ-ერთ პრინციპში აღნიშნავს კიდევ:

პოლიციის საგამომიებო ორგანო, საკმარისად გამიჯნული უნდა იყოს პოლიციის ან მის მიერ გამოსაძიებელი სხვა სამართალდამცავი სააგენტოს იერარქიისგან (EPAC 2011: 7)

პოლიციისადმი მიუკუთვნებლობა გამომძიებლებისთვის მნიშვნელოვანი პრევენტაციული იარაღია მოსარჩლე მხარესთან ურთიერთობისას და შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც „პოლიციასთან საერთოს არ ქონის“ ტაქტიკური რწმუნება. ეს, როგორც წესი, საჭირო ხდება ხოლმე, რადგან სიტყვა „პოლიციის“ არსებობა ზედამხედველობითი ორგანოების დასახელებაში ბევრი მოსარჩლის მიერ ისე აღიქმება, თითქოს ამ ორგანოს თანამშრომლები პოლიციის ნაწილი არიან. ამ მიზეზების გამო „დისტანცია“ და გამიჯნულობა ერთ-ერთი წამყვანია დამოუკიდებლობის მუშაკთა მიერ დამოუკიდებლობის აღქმებში.

დამოუკიდებლობა, როგორც „ობიექტურობა“: სიმართლის ძიებაში

გამოკითხულთა დაახლოებით ერთმა მეხუთედმა ფუნდამენტურად დააკავშირა დამოუკიდებლობა „ობიექტურობასა“ და „მტკიცებულებებზე დაყრდნობასთან“; ასე რომ, ობიექტურობა რიგით მესამეა სიხშირით დამოუკიდებლობის განსაზღვრებებში. ბევრმა რესპონდენტმა მტკიცებულებებზე დაყრდნობა განიხილა, როგორც მიუკერძოებლობისა და პოლიციისგან დისტანცირების შენარჩუნებისთვის მთავარი ორგანიზაციული კომპონენტი.

ეს აზრი ერთ-ერთმა უფროსმა გამომძიებელმა ასე გამოხატა:

ჩემი აზრით, დამოუკიდებლობა ნიშნავს, რომ ჩვენ ვუყურებთ ფაქტებს, რომლებიც მოპოვებული მტკიცებულებებით დავადგინეთ და გადაწყვეტილების მიღებისას არაფერს ვეყრდნობით მტკიცებულებების გარდა; ასევე არ გვაქვს რომელიმე პროცესში ჩართული მხარის არც შიში და არც ხათრი (SI 12)

ერთ-ერთმა გამომძიებელმა კიდევ უფრო დრამატულად ისაუბრა ამ თემაზე:

მხოლოდ ერთი ბატონის მონა ხარ და ეს ბატონი სიმართლეა (IO 3)

ალბათ მნიშვნელოვანია, რომ ყველა გამოკითხული, რომელმაც ობიექტურობა მიიჩნია დამოუკიდებლობის პრიორიტეტულ განსაზღვრებად (24) გამომძიებელი იყო. დამოუკიდებლობის, როგორც „სიმართლის ძიების“ იდეა სისხლის სამართლის თანამედროვე გამომძიების კულტურული კომპლექტის ძირითადი ნაწილია, პროფესიული თვით-განსაზღვრების ფორმაა და მისი გადაცემა ხდება გამომძიების არსის შესახებ ტრენინგის ან კულტურული ტრანსმისიის სხვა ფორმებით, ყოველ შემთხვევაში ბოლო წლებში ეს ასე ხდება (Williamson 2007). ობიექტურობის ცნებაც შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომძიებლის მიერ საჩივრის მხარეების დასარწმუნებლად; როგორც ერთმა გამომძიებელმა თქვა - „მხოლოდ და მხოლოდ ჩვენთვის ხელმისაწვდომი მტკიცებულებიდან გამოგვაქვს დასკვნები“ (SI 9). ამ იდეოლოგიური ჩარჩოს ფარგლებში, საჩივრების გამოძიება არსობრივად მოსარჩლისა და პოლიციელის კონკურენტულ ნარატივებს შორის გზის გაკვლევაა „ფაქტების მიყოლის“ პრინციპის მკაცრი დაცვით. ამ „ფაქტების“ შეგროვება შესაძლებელია მრავალი გზით - ინტერვიუს საშუალებით, ჩანაწერების კამერის სასამართლო ექსპერტიზით და სხვა, მაგრამ გამომძიებლისთვის ფაქტები ის საძირკველია, რომელზე დაყრდნობითაც ხდება

გადაწყვეტილების მიღება. ამ კუთხით „ობიექტურობა“ პროფესიული პატიოსნების სიმბოლოა, რომელიც თვალსაჩინო უნდა იყოს მათთვის ვისთანაც გამომძიებელს აქვს შეხება გამოძიების პროცესში.

ამგვარად, დამოუკიდებლობის სამი ურთიერთდაკავშირებული კონცეფცია - მიუკერძოებლობა, დისტანცირება და ობიექტურობა - უზრუნველყოფს დამოუკიდებლობის მუშაკს მნიშვნელობის ჩარჩოთი, რომელიც არის როგორც პროფესიული „მე“-ს აღქმა, ისე - საპრეზენტაციო ინსტრუმენტი, რომლის ტაქტიკურად გამოყენებაც შესაძლებელია საპოლიციო საჩივრის პროცესში ჩართულ მხარეებთან. მოცემული განსაზღვრებები, გარკვეული თვალსაზრისით, მთამაგონებელია და ასახავს იმას, თუ როგორი უნდა იყოს დამოუკიდებლობა იდეალურ შემთხვევაში. დამოუკიდებლობის მუშაკების მიერ დამოუკიდებლობის განსაზღვრებასთან დაკავშირებულ შეკითხვას მოსდევს საკვლევი შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ხდება დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა პრაქტიკაში.

დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა: დაბრკოლებები და შეზღუდვები

როგორც ზემოთ აღინიშნა, საპოლიციო საჩივრების დამოუკიდებელი გამოძიება ხშირად აღიქმება, როგორც კარგი საპოლიციო მმართველობის „მწვერვალი“ ანუ „საბოლოო თამაში“. ეს ბადებს შეკითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არსებობს პრაქტიკულ დონეზე ბარიერები, მაშინაც კი, თუკი დამოუკიდებელი გამოძიებისთვის საჭირო სისტემა აქტიურია.

ამ კრიტიკული შეკითხვის კვლევის ერთ-ერთი გზაა ვიკითხოთ, როგორ აფასებენ სიტუაციას თავად დამოუკიდებლობის მუშაკები. კვლევის მონაწილეებს ეკითხებოდნენ არსებობდა თუ არა, მათი აზრით, დაბრკოლებები და/ან შეზღუდვები, რომლებიც დამოუკიდებლობის მათეული კონცეფციის განხორციელებას ხელს უშლიდა.

გამოკითხულთა ერთმა მეხუთედმა და, PONI-ს შემთხვევაში, დამოუკიდებლობის მუშაკთა ერთმა მესამედმა, გამოხატა პოზიცია, რომ მათ ორგანიზაციაში არ არსებობდა რეალური ბარიერები დამოუკიდებლობის პრაქტიკაში განხორციელებისთვის. ამის საპირისპიროდ, გამოკითხულთა უმრავლესობამ ისაუბრა მათ მიერ დამოუკიდებლობის განხორციელებისთვის ბარიერებად მიჩნეულ ფაქტორებზე. გამოიკვეთა სამი ძირითადი ფაქტორი: პოლიციასთან „ზედმეტად ახლოს“ ყოფნა ან მასთან „ზედმეტი ლმობიერება“, რესურსების დონე და პოლიციის „მხარდაჭერაზე“ დამოკიდებულება.

პოლიციასთან „ზედმეტად ახლოს“ ყოფნა ან მასთან „ზედმეტი ლმობიერება“

იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც ვხედავთ, დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მთავარი განსაზღვრება პოლიციისგან დისტანცირება აღმოჩნდა, დამოუკიდებლობის მუშაკთა დაახლოებით ერთმა მესამედმა დაასახელა პოლიციასთან სიახლოვის ფორმები, როგორც დამოუკიდებლობის დამაბრკოლებელი წყარო. ამ მოსაზრების მიხედვით, პრობლემა პოლიციასთან გადაჭარბებულ სიახლოვეშია. სიახლოვის ცნება გამოიხატა ორი ძირითადი გზით.

ერთის მხრივ, გამოიკვეთა მოსაზრება, რომ გამომძიებელი ორგანიზაციები ზედმეტ სიფრთხილეს იჩენდნენ გამოსაძიებელი პოლიციის ორგანოების მიმართ, რაც უკავშირდებოდა მათთან კარგი პროფესიული ურთიერთობის შენარჩუნების სურვილს. ეს გამოიხატებოდა, მაგალითად, გამომძიებელი ორგანიზაციის მიერ პოლიციის საგამომძიებო წიგნაკის გაჩხრეკისგან ან პოლიციის წარუმატებლობებზე საგამომძიებო ანგარიშის შეტანისგან თავის შეკავებაში. მაგალითად, ერთ-ერთმა გამომძიებელმა განაცხადა:

ჩემი აზრით, ზოგჯერ ზედმეტად ლმობიერები ვართ, რადგან მათთან (პოლიციასთან) კარგი პროფესიული ურთიერთობის შენარჩუნება გვჭირდება, შესაძლოა ზედმეტსაც ვთმობთ. (IO 1)

მსგავსი აზრი გამოხატა უფროსმა გამომძიებელმაც:

მგონი, რომ ზოგჯერ ზედმეტ სიფრთხილეს ვიჩენთ; ვამბობთ, რომ „არა, ამის გაკეთება არ შეგვიძლია“, მაშინ როცა ბევრი ჩვენგანი ფიქრობს - „მოდით, უბრალოდ ავდგეთ და გავაკეთოთ“. (SI 5)

ეს, გარკვეულწილად კვეთს ქვემოთ დასახელებულ კიდევ ერთ წინააღმდეგობას - გამომძიებლის ჩატარებისას პოლიციის „პროტოკოლზე“ დაყრდნობას იმ თვალსაზრისით, რომ ზოგჯერ გამომძიებლები არ ფიქრობენ, რომ მათ ხელთ არსებული ძალაუფლების სრულად გამოყენება შეუძლიათ, რადგან ითვალისწინებენ პოლიციის ორგანოებთან კარგი პროფესიული ურთიერთობის შენარჩუნების საჭიროებას. ოფიცრების წიგნაკის საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად, ერთ-ერთმა გამომძიებელმა თქვა:

ახლახან გამოძიება ჩავატარე... პოლიციის ოფიცერმა უარი თქვა ჩემთვის თავისი წიგნაკის ჩანაწერის ჩვენებაზე... მომიწია 6 თვე ლოდინი, სანამ ამ ჩანაწერს მოვიპოვებდი, რადგან საკითხს უნდა გაველო დისციპლინური ჩემპიონების (პოლიციასთან მთავარი საკონტაქტო პირები) ხელში. რამდენადაც ვიცი, მან ამ დროში ახალი წიგნაკი დაიწყო და გადაწერა კიდევ. ვგრძნობ, რომ ზოგჯერ ზედმეტი ზეწოლის წინაშე ვდგავართ. მგონია, რომ უნდა შეგვეძლოს წიგნაკების ჩხრეკა. (IO 6)

სიახლოვის ცნება იმაზე მეტს მოიცავს, ვიდრე გამოსაძიებელ პოლიციასთან ზედმეტი სიხისტიის გამოვლენის შიშია. სიახლოვის კიდევ ერთი გაგება, პოტენციურად, ზედმეტ სიფრთხილესთან არის კავშირში, მაგრამ უფრო კულტურული ნიშნის მატარებელი გაგებაა. საუბარია გამომძიებლების, ასე ვთქვათ, „გამინაურებაზე“, როგორც ერთ-ერთი უფროსი თანამდებობის მფლობელმა უწოდა. ერთ-ერთმა უფროსმა გამომძიებელმა (არა ყოფილმა პოლიციის ოფიცერმა) ისაუბრა გამომძიებელთა მიერ გამოსაძიებელი პოლიციის ენისა და „აზროვნების“ ათვისების განმეორებად შაბლონზე:

არსებობს ფენომენი, რომელიც მინახავს გამომძიებლებში და რომელსაც უნდა ვერიდოთ. დაახლოებით 6 თვის შემდეგ ისინი ითვისებენ ტერმინოლოგიას და იწყებენ პოლიციელებივით საუბარს, თითქმის იმ აზრზე დგებიან რომ თანაუგრძნონ პოლიციას. (SI 1)

იმავე უფროსმა გამომძიებელმა კომენტარი გააკეთა იმ ფაქტზე, რომ საჩივრების გამომძიებელთა გარკვეული ნაწილი ბოლოს პოლიციის ოფიცერი ხდება, რაც ნაწილობრივ ასახავს ხსენებულ კულტურულ „ემპათიას“ პოლიციის მიმართ. მსგავსი კულტურული დინამიკის შესწავლა

ნაშრომის ფარგლებს სცდება, მაგრამ გამომძიებელთა „გაშინაურების“ იდეა ნამდვილად საინტერესოა, მით უფრო დამოუკიდებლობის ზემოთხსენებული ცნებების - დისტანცირების, მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის გათვალისწინებით.

რესურსების პრობლემა

გამოკითხულთა ერთ მეხუთედზე მეტმა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ბარიერად რესურსების ნაკლებობა დაასახელა, ერთმა გამომძიებელმა, მაგალითად, თქვა:

რესურსები ნამდვილად პრობლემაა; ჩემი აზრია, რომ ეს ორგანიზაცია არაა მზად იმისთვის, რომ გაუმკლავდეს იმას, რაც ქუჩაში ხდება. (IO 14)

გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა გააკეთა კომენტარი გამოძიების, განსაკუთრებით, რთული გამოძიების, ჩატარებისთვის საჭირო ხელმისაწვდომი რესურსების დონის უთანასწორობაზე პოლიციასა და გამომძიებელ ორგანოებს შორის. როგორც ერთ-ერთმა უფროსმა გამომძიებელმა იკითხა, „თუკი საქმე გვაქვს მასშტაბურ გამოძიებასთან, როგორ გავესაუბრებით დღეში 40 ოფიცერს, როდესაც ამდენი თანამშრომელი უბრალოდ არ გვყავს?“ (SI 4). პოლიციისა და ზედამხედველობის ორგანოებისთვის ხელმისაწვდომი რესურსების დონეებს შორის უთანასწორობა ყველაზე კარგად ჩანს ეგრეთ წოდებულ „ტანდემურ გამოძიებებში“ - როცა საჩივრების ორგანოს მიერ ჩატარებული გამოძიება პარალელური საპოლიციო გამოძიების თანმიმდევრულად მიმდინარეობს. მაგალითად, ამ ნაშრომზე მუშაობისას, მოხდა პოლიციის მიერ ცეცხლის გახსნის ფატალური შემთხვევა შეიარაღებული დარცვის შესაკავებლად. შემთხვევის ადგილზე გაგზავნეს საჩივრების გამომძიებლები, „მეორე მუხლის მიმართვის“ შესაბამისად, მტკიცებულების შესაგროვებლად. თუმცა, შემთხვევის ადგილზე პოლიციაც იძიებდა თავად შეიარაღებული დარცვის შემთხვევას. მკვლევარის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, მაშინ როცა საპოლიციო გამოძიებაში 12-მდე პოლიციის გამომძიებელი იყო ჩართული, მეორე მუხლის გამოძიებას მხოლოდ 4-5 საჩივრების გამომძიებელი უძღვებოდა.

გამომძიებელთა რაოდენობა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ რესურსების საკითხი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. გარდა ამისა, პრობლემაა ისიც, რომ საჩივრების ორგანოებს უწყვეტ დიდი გეოგრაფიული არეალის დაფარვა. PONI-ის მხოლოდ ერთი ცენტრალური ოფისი აქვს იმისთვის, რომ მთელი ჩრდილოეთ ირლანდია დაფაროს, GSOC-ის - ორი ოფისი ირლანდიის რესპუბლიკის დასაფარად, IPCC-ის კი - ერთი სათავო ოფისი და ხუთი რეგიონალური ოფისი მთელი ინგლისის, უელსის და 43 საპოლიციო ძალისთვის. სიღრმისეული გამოძიების ჩატარების სირთულე ფართო გეოგრაფიული იურისდიქციების კონტექსტში კიდევ უფრო მწვავედ დგება, როდესაც საქმე ეხება შემთხვევის ადგილის უზენებლობის საკითხს. თანამედროვე სტანდარტული საგამომძიებო პრაქტიკაა გამოძიების, ეგრეთ წოდებული, „ოქროს საათის“ დაცვის მცდელობა; საუბარია დანაშაულის ადგილის შეძლებისდაგვარად ადრეულ მოკვლევაზე სასამართლო ექსპერტიზისთვის საჭირო ნარჩენი მტკიცებულების დაცვის მიზნით. (Innes 2007: 261). შესაბამისად, შემთხვევის ადგილის ადრეული და ეფექტური მოკვლევა საგამომძიებო პროცესის უმნიშვნელოვანესი ეტაპია. საჩივრების ან დისციპლინური გადაცდომის გამოძიების პროცესი ზოგჯერ ითხოვს შემთხვევის ადგილის უზენებლობის დაცვას, მაგალითად, მაშინ,

როდესაც პოლიციის მიერ ცეცხლის სასიკვდილო გასხნას ან დაკავებისას გარდაცვალების შემთხვევებს ეხება საქმე; თუმცა, გეოგრაფიული გავრცელების გამო, ყოველთვის არ არის შემთხვევის ადგილის უვნებლობის დაცვის ან საკმარისად ადრე დათვალთქების შესაძლებლობა. ეს შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ შემთხვევის ადგილს პირველი თავად პოლიცია შეისწავლის, და საჩივრების გამომძიებელს, ადგილზე მოსვლის შემდეგ, მოუწევს დაეყრდნოს პოლიციის ოფიცერს შემთხვევის ადგილის დაცვაში.

ეს საკითხი პრობლემად გამოკვეთა გამომძიებლების დიდმა ნაწილმა; როგორც ერთ-ერთმა უფროსმა გამომძიებელმა თქვა:

... ჩვენ არ გვაქვს რესურსი შემთხვევის ადგილის სრული კონტროლისთვის, არ გვაქვს ყველაფრის ჩაკეტვისთვის საჭირო რესურსი, მე არ მაქვს რესურსი რომ ჩამწერი ფირი ვამუშავო 24 საათი. მოწმის განყოფილებაში საჭიროა განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ იცავდა შემთხვევის ადგილს ექვსი პოლიციის ოფიცერი... ეს უკვე რესურსების ამბავია (SI 1)

ერთ-ერთმა გამომძიებელმა კიდევ უფრო დრამატულად აღწერა პრობლემა, როდესაც ისაუბრა შემთხვევის ადგილის პოლიციელების მიერ დაცვის საკითხზე:

ფაქტობრივად, მელას ვამლევეთ უფლებას საქათმეს უყარაულოს, სანამ ადგილზე მივალთ; უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ ადგილზე მისვლამდე შემთხვევის ადგილი, ფაქტობრივად, პოლიციის კონტროლის ქვეშაა (IO 2)

უნდა აღინიშნოს, რომ რესურსების პრობლემას თანაბრად არ გასმია ხაზი სამ საკვლევ ორგანოში. PONI-ის თანამშრომელთა მხოლოდ მცირე რაოდენობამ (10 პროცენტზე ნაკლებმა) დაასახელა რესურსების ნაკლებობა პრობლემად. ასეთი სტატისტიკა შესაძლოა ასახავდეს ზემოთ აღნიშნულ ფაქტს - PONI-ის რესურსების დონე პროპორციულად მეტია ორ სხვა განსახილველ ორგანოსთან შედარებით, რადგან, IPCC-ის და GSOC-ის დიფერენცირებული დამოუკიდებლობისგან განსხვავებით, მას აქვს ფუნქცია გამოიძიოს ყველა საჩივარი. რესურსებისა და შემთხვევის ადგილის უვნებლობის პრობლემა დამოუკიდებლობის მუშაკების მიერ განსაზღვრულ კიდევ ერთ შემთხვევებელ ფაქტორს - პოლიციის მხარდაჭერაზე დამოკიდებულებას უკავშირდება.

პოლიციის „მხარდაჭერაზე“ დამოკიდებულება

შეუძლებელია საჩივრების გამოძიება გამოსადიებელი პოლიციის ორგანიზაციასთან რაიმე სახის კონტაქტის გარეშე. თუმცა, ამ კონტაქტის ხარისხი და ბუნება დამოკიდებულია მიერ საჩივრების გამოძიების სისტემის პოტენციურ სისუსტედ დასახელდა. უფრო კონკრეტულად, დამოკიდებულები პრობლემურად აღიქვამენ საჩივრების პროცესის დამოკიდებულებას პოლიციის ან მასთან დაკავშირებულ მხარდაჭერასა და შესაძლებლობებზე. ამ დამოკიდებულების ან ზედმეტი დამოკიდებულების ორი განზომილება გამოიკვეთა. პირველი - ის, რომ გამოძიება, როგორც წესი, მიყვება პოლიციის შიგნით ზუსტად განსაზღვრულ არხებს და საჭიროა შეთანხმებული პროტოკოლის დაცვა, სირთულეებს ქმნის ეფექტური გამოძიებისთვის. ამ პროტოკოლის მიყოლა, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანია ზემოთ ნახსენები კარგი პროფესიული

ურთიერთობის შენარჩუნებისთვის პოლიციასთან. ეს პროტოკოლი განსხვავდება სამივე საკვლევით ორგანოსთვის, მაგრამ სამივეგან გვხვდება, მაგალითად, იმის საჭიროება, რომ პოლიციის ოფიცრის დაკითხვის მოთხოვნა წარედგინოს კონკრეტულად განსაზღვრულ პოლიციის თანამშრომელს ან - რომ დოკუმენტაციის გამოთხოვაზე მივმართოთ პოლიციის შიგნით „ერთ კონკრეტულ საკონტაქტო პირს“. ასეთმა ზომებმა, შესაძლოა, გამოიწვიონ პროცესის შეფერხება და შექმნან ბიუროკრატიული ბარიერები გამომძიებელსა და სასურველ საკონტაქტო პირებს შორის. როგორც ერთ-ერთმა უფროსმა გამომძიებელმა აღნიშნა:

ეს პროტოკოლი, უბრალოდ, სასაცილოა და ლანძღვის სურვილს მიჩენს, სიმართლე რომ გითხრათ... იმის ნაცვლად, რომ მივიღე კონკრეტულ ოფიცერთან და ვუთხრა, რომ „მე ესა და ეს მჭირდება“, მიწევს იმავე პროცესის ინსპექტორთან გავლა... (SI 4)

მსგავსი კომენტარი გააკეთა ერთ-ერთმა გამომძიებელმაც:

ჩვენი პოლიციასთან ურთიერთობა საკმაოდ ბიუროკრატიულია; წარმოიდგინეთ, მჭირდება დოკუმენტაციის გამოთხოვა, შეხვედრების მოთხოვნა და ორგანიზება... და მიწევს კონკრეტულ საკონტაქტო პირთან მიმართვა... ის რასაც დიდი დრო არ უნდა სჭირდებოდეს, დროში იწელება. (IO 21)

კიდევ ერთმა უფროსმა გამომძიებელმა დაიჩვილა იმაზე, რომ 12 თვე მოუწინა ერთი ოფიცრის დაკითხვას, რომელმაც ცეცხლსასროლი იარაღი გაისროლა და თქვა, რომ „ამ შეფერხების გამო დამოუკიდებლობას პოტენციური საფრთხე შეექმნა“ (SI 7). ამ კუთხით მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ ზემოთ ნახსენები ორგანო, EPAC, ეფექტური გამოძიების მთავარ პირობად ასახელებს „დროული გამოძიების ჩატარებას, რათა თავიდან ავიცილოთ უმნიშვნელოვანესი მტკიცებულების დაკარგვა, რაც ცუდად იმოქმედებს პროცესზე და საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივი ნდობის ფაქტორს“ (EPAC 2011: 13, emphasis added). რამდენიმე გამომძიებელი შეეხო „კვალდაკვალ დევნის“ დროს პოლიციის მანქანების მიერ ფეხით მოსიარულეთა შეწირვის ან დაშავების ფაქტებზე დამნაშავე პოლიციის ოფიცრების დაკითხვის გრძელვადიან შეფერხებებს და შეადარა სერიოზულ სატრანსპორტო შემთხვევებში ჩართული მძღოლების დაუყოვნებლივ დაკითხვის პრაქტიკას პოლიციის მიერ.

პოლიციის მხარდაჭერაზე დამოკიდებულების მეორე მიმართულება მჭიდრო კავშირშია რესურსების საკითხთან: საუბარია პოლიციის ტექნიკურ მხარდაჭერასა და ცოდნაზე ან იმ ტექნიკურ სერვისებზე დამოკიდებულებაზე, რომლებიც რეგულარულად გამოიყენება გამოსაძიებელი პოლიციის ორგანიზაციების მიერ. საჩივრების გამოძიებისთვის ხშირად საჭიროა წვდომა სპეციალურ საექსპერტიზო მომსახურებებზე - როგორებიცაა, მაგალითად, ბალისტიკური ექსპერტიზა, საგზაო შეჯახების ექსპერტიზა და სხვანი, რომლებიც არაა ხელმისაწვდომი ორგანიზაციის შიგნით. ეს, შესაძლოა, ნიშნავდეს იმას, რომ გასაჩივრების ორგანოები იძულებულნი არიან მიმართონ ხსენებული ანალიტიკური სერვისებისთვის ადგილობრივ პოლიციის ორგანიზაციებს, რომლებსაც ბევრად უფრო ყოვლისმომცველი დამხმარე საშუალებების სპექტრი აქვთ. გამოკითხულთა ერთ-მეხუთედზე ოდნავ ნაკლებმა პოლიციის დახმარებაზე დამოკიდებულების ეს განზომილება პოტენციურად პრობლემატურად

დაასახელა. ერთ-ერთი უფროსი თანამდებობის მფლობელმა, მაგალითად, განაცხადა, რომ დამოუკიდებლობის ერთ ერთი ბარიერია:

... დამოკიდებულება ტექნიკურ სერვისებზე, როგორცაა, მაგალითად, პოლიციის ექსპერტი, რომელიც მოვა ადგილზე და იტყვის, რომ საბურავზე არსებული ნიშნები მიუთითებს ამასა და ამაზე, რომ სიჩქარე იყო ესა და ეს და ასე შემდეგ. ჩვენ ძალიან მცირე მასშტაბის ვართ იმისთვის, რომ ეს სერვისები ორგანიზაციის შიგნით მოგვეპოვებოდეს და გვიწევს ვირწმუნოთ, რომ ეს კონკრეტული ექსპერტი, მონაცემების შემგროვებელი მუშაკი, ალკოჰოლურ-რესპირატორული მილი, ან რაც არ უნდა იყოს, ფაქტობრივ შედეგს გვაჩვენებს. შესაბამისად, სიმართლეა, რომ გარკვეულწილად პოლიციის სერვისებზე ვართ დამოკიდებული. (SR 2)

ანალიტიკურ მომსახურებებზე დამოკიდებულება ერთ-ერთმა უფროსმა გამომძიებელმაც პოტენციურ დამაბრკოლებელ ფაქტორად აღიქვა:

...დღის ბოლოს ყველა ექსპონატი მაინც პოლიციის ტექნიკურ ბიუროში მიდის. ეს, რა თქმა უნდა, ხელისშემშლელი ფაქტორია; ამ ყველაფრის ობიექტურად შეფასების შემთხვევაში, ცხადია, რომ დამოუკიდებელი ზედამხედველობითი ოფისის მიერ მოპოვებულ ექსპონატებს ბოლოს მაინც პოლიციის ტექნიკური ბიუროს წევრები ანალიზებენ. ეს ორგანიზაციის დამოუკიდებლობისთვის შექმნილი პოტენციური ბარიერია (SI 2)

იგივე აზრი ვრცელდება სპეციალიზებულ სერვისებზე, რომლებიც, შესაძლოა, არ იყოს პოლიციის ნაწილი, მაგრამ გამოიყენება როგორც პოლიციის, ისე - საჩივრების გამომძიების მიერ. აქ იგულისხმება სასამართლო ექსპერტიზის სერვისები, ქცევითი ანალიტიკოსები (პირები, რომლებიც ქმნიან პროფილს), პათოლოგანატომები და სპეციალური იურიდიული სერვისები. ეს ქმნის პოლიციასთან „სიახლოვის“ ან დისტანცირების ნაკლებობის პოტენციურად ახალ განზომილებას. ზედამხედველობითი ორგანოები ხშირად არიან დამოკიდებულნი იმ სპეციალისტთა დახმარებაზე, რომლებიც პოლიციისთვისაც მუშაობენ. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი უფროსი თანამდებობის მფლობელმა საკმაოდ მტკიცედ განაცხადა: „დამანახეთ ნებისმიერი, ვისაც სრულიად დამოუკიდებელი გამომძიების ჩატარება შეუძლია, შემდეგ მომეციოთ საკმარისი დრო და გაჩვენებთ, რომ ეს შეუძლებელია“.

... გარანტირებულია, რომ გარკვეულ ეტაპზე მოგიწევს დაეყრდნო ისეთი ვინმეს ცოდნასა და გამოცდილებას, ვისაც შესაძლოა კავშირი ჰქონდეს პოლიციასთან. იქნება ეს პათოლოგანატომი, რომელიც პოლიციისთვისაც კვეთს ცხედარს, სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო ლაბორატორია, რომელიც პოლიციისთვისაც მუშაობს, თუ სასამართლო მოხელე, რომელიც ერთდროს პოლიციის ძალებს წარმოადგენდა... სხვანაირად, უბრალოდ, შეუძლებელია (SR 4)

ეს განცხადება სხვებივით კარგად ასახავს, თუ რაზე მიუთითებს დამოუკიდებლობის აქ განხილული ყველა შემაფერხებელი ფაქტორი: პოლიციის საჩივრების „დამოუკიდებელი“ გამომძიების კომპლექსურობაზე. საპოლიციო მმართველობის ეს „მწვერვალი“ მიუკერძოებლობის, ობიექტურობისა და სხვა ფუნდამენტური ღირებულებებისა და პრინციპების კერასთან ერთად, კომპრომისის, მოლაპარაკებებისა და მორიგების კერაცაა, მის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირებისთვის კი გარკვეული გაღიზიანების საფუძველიც ხდება.

დამოუკიდებლობა „უწესრიგოა“. ყველაფერ ზემოთხსენებულს მივყავართ დამოუკიდებლობის მუშაკთა ამ კვლევაში წამოჭრილი სხვა საკითხების უფრო ფართო დისკუსიამდე.

დისკუსია

საპოლიციო მმართველობისა და ანგარიშვალდებულების გარშემო დებატების მნიშვნელოვანი ნაწილია სამოქალაქო ზედამხედველობის ორგანოთა შედარება იმის მიხედვით, თუ რამდენად იძლევიან ისინი საპოლიციო საჩივრების დამოუკიდებელი გამოძიების შესაძლებლობას. გარდა ამისა, როგორც ამ ნაშრომშია განხილული, მნიშვნელოვანია იმის განსჯაც, თუ რა პროცესებთან და გავლენებთან გვაქვს საქმე, როდესაც გამოძიება „დამოუკიდებლად“ ტარდება. ამ კუთხით, ორი ვრცელი სურათი ჩანს.

დასაწყისისთვის უნდა ითქვას, ამკარაა, რომ დამოუკიდებლობის მუშაკები დამოუკიდებლობას, როგორც პროფესიულ ფილოსოფიას, მრავალგვარად გადმოცემენ. გადმოცემის ეს სხვადასხვა გზები მჭიდროდ დაკავშირებულია, მაგრამ არა ექვივალენტური. დამოუკიდებლობის ამ ნაშრომში განხილული სამი წამყვანი განსაზღვრება - მიუკერძოებლობა, დისტანცირება (პოლიციისგან) და ობიექტურობა შეადგენენ ამ კონკრეტული (მართალია, ახალგაზრდა) ორგანიზაციული კულტურის „ფუძემდებლურ ვარაუდებს“, (Schein (1985). ეს ფუძემდებლური ვარაუდები გულისხმობენ განსხვავებულ (თუმცა, არა გამომრიცხავ) კონცეფციებს იმისა, თუ რას ნიშნავს დამოუკიდებლობა მათთვის, ვინც მის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია. ეს წონას მატებს აქ გაკეთებულ ძირეულ დასკვნას, რომ დამოუკიდებლობა საპოლიციო მმართველობის მხოლოდ კონკრეტული მოდელი კი არა, ბევრად უფრო კომპლექსური, კულტურულად ჩამოყალიბებული ჩარჩოა იმისა, თუ რომელი მოთამაშეები ხდიან დამოუკიდებლობას შესაძლებელს. ეს ჩარჩო განსხვავდება ზემოთ განხილული სამი მთავარი განზომილების მიხედვით და, ასევე, გარკვეულწილად - ორგანიზაციული და ფუნქციური ნიშნების მიხედვით.

ხსენებული ჩარჩოს დამოუკიდებლობის კონცეფციების აღმოჩენა შესაძლებელია საკმანისეულ ორგანიზაციის კულტურული ცოდნის ტიპოლოგიაში, რომელიც წარმატებით გამოიყენება თავად პოლიციის კულტურის ანალიზისთვის. (Chan 1996). Sackman (1992: 141-2) განასხვავებს ხსენებული ცოდნის 4 დონეს ყველაზე ზედაპირულიდან ყველაზე სიღრმისეულამდე: „ლექსიკური ცოდნა“ , რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის რაობის შესახებ არსებულ განმარტებებსა და იარლიყებს; „ინსტრუქტიული ცოდნა“, რომელიც ასახავს ხშირად გატარებულ პრაქტიკას და წარმოადგენს ორგანიზაციის „როგორს“; „რეცეპტული ცოდნა, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის „უნდას“ - საშუალებას იმისა, თუ „როგორ უნდა გადაწყდეს კონკრეტული პრობლემა და გადარჩენისა და წარმატების ინსტრუქციას“

(Sackman 1992: 142); და, ბოლოს, „აქსიომატური ცოდნა“, რომელიც ორგანიზაციული კულტურის ყველაზე სიღრმისეულ დონეზეა და მის „რატომ“-ს წარმოადგენს. ესაა წინასწარი ვარაუდები იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის ყველაფერი ისე, როგორც არის. ზემოთ განხილული დამოუკიდებლობის კონცეფციებისა და მათი როლის გათვალისწინებით, ჩანს, რომ დამოუკიდებლობის ცნებები ორ ასეთ დონეს შორის მოქმედებენ. პირველ რიგში, ისინი წარმოადგენენ აქსიომატური ცოდნის ფორმას იმ თვალსაზრისით, რომ გვაწვდიან დამოუკიდებელი გამოძიების „სულისკვეთების“ „არსის“ განსაზღვრებებს, ანუ თვითგანსაზღვრების „რატომ ვართ ის რაც ვართ“ ცნებებს. კვლევაში მონაწილე პირებმა

შემოგვთავაზეს გულწრფელი მასალა სამოქალაქო გამოძიების ყველაზე ფუნდამენტური შეკითხვის არსში გასარკვევად: რას ნიშნავს „დამოუკიდებლობა“ სფეროში მომუშავე მუშაკებისთვის? თუმცა, მეორეს მხრივ, დამოუკიდებლობის ეს კონცეფციები ასევე წარმოადგენს რეცეპტულ ცოდნას შემდეგ ჭრილში: საუბარია პროცესის მოთამაშებებზე, კონკრეტულად გამომძიებლებზე, რომლებსაც გააჩნიათ პრეზენტაციული იარაღი საჩივრის პროცესის მონაწილე მხარეებთან მოლაპარაკებისთვის. გამოდის, რომ დამოუკიდებლობის კონცეფციები გვაწვდიან „გადარჩენის რეცეპტს“. ამდენად, მიუკერძოებლობის ცნება შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იმ ბრალდებისგან თავდასაცავად, რომ გამომძიებლები მუშაობენ „სხვა მხარისთვის“. „პოლიციისგან დისტანცირებაზე“ მინიშნება, შესაძლოა გამოვიყენოთ იმ განაცხადის საპასუხოდ, რომ გამომძიებლები უბრალოდ „პოლიციის სხვა მხარეა“; „მტკიცებულებებზე დაფუძნებაზე“ მინიშნებას კი შეგვიძლია მაშინ მივმართოთ, როდესაც საჩივრის მხარეების მიერ ისმის კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება საჩივარზე გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, დამოუკიდებლობის დისკურსს აქვს როგორც თვით-განსაზღვრების ისე გამოძიების აუდიტორიისთვის გარეგანი გამოხატვის ფუნქცია.

მიუხედავად ამისა, როგორც ვხედავთ, დამოუკიდებელ გამოძიებაში ჩართულთა უმრავლესობისთვის, დამოუკიდებლობის რისკის ქვეშ დაყენება მუდმივი გამოწვევაა. მივდივართ ამ ნაშრომის მიერ წამოწეულ მეორე მთავარ სურათამდე: პოლიციის საჩივრების დამოუკიდებელი გამოძიება ურთიერთქმედების ადგილია - მუდმივი პოლემიკა დამოუკიდებელი გამოძიების მიზნებსა და მისწრაფებებს და იმ შინაარსობრივ გარემოებებს შორის, რომელთა პირობებშიც უნდა იარსებოს დამოუკიდებელმა გამოძიებამ. კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ვარაუდი, რომ დამოუკიდებელი გამოძიება მხოლოდ გამოძიების კონკრეტული მოდელია, „რაღაცა“ ან სტატუსია. ამის ნაცვლად, მას უნდა შევხედოთ ფარდობით კონტექსტში, როგორც ურთიერთქმედებას დამოუკიდებლობის ძალებსა და იმ გარემოს მიერ დაწესებულ შეზღუდვებს შორის, რომელშიც ადგილი აქვს საჩივრების გამოძიებას. გარემო შეზღუდვების თვალსაზრისით, წამყვანი დასარეგულირებელი ორგანოს - პოლიციის - როლია. ამ კონტექსტში აქტიურდება მარეგულირებელი წნეხის თეორია. დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების მიხედვით, როგორც ვნახეთ, მათი საქმიანობისთვის ორი წამყვანი შეზღუდვაა პოლიციასთან სიახლოვე - ზედმეტი სიახლოვე ან ზედმეტი ლმობიერება - და პოლიციის მხარდაჭერაზე დამოკიდებულება პოლიციის პროტოკოლის, ტექნიკური მხარდაჭერის და სხვათა კუთხით. ეს ორი ფაქტორი ერთად წარმოადგენს მარეგულირებელი წნეხის თეორიის კლასიკურ განზომილებებს საპოლიციო საჩივრების კონტექსტში (Prenzler 2000); ისინი ემუქრებიან დამოუკიდებელი გამოძიების შეღწევადობას ისე, რომ, თითქმის პოლიციისადმი მორჩილებასთან გვაქვს საქმე. იმის თქმას ცვდილობთ რომ მარეგულირებელი წნეხი მუდმივად არსებული პოტენციალია, რომელთანაც დამოუკიდებელი გამოძიება უნდა მორიგდეს. ამ კუთხით, მარეგულირებელი წნეხი უნდა განვიხილოთ არა როგორც რაღაც, რაც „არის“ ან „არ არის“ წარმოდგენილი, არამედ როგორც მხარეებსა და ორგანიზაციებს შორის დამოკიდებულებითი ურთიერთქმედება, რომელიც ქმნის გარემოს, სადაც უნდა იარსებოს მარეგულირებელმა მმართველობამ და რომელიც შედეგად განსაზღვრავს მიღწეული „დამოუკიდებლობის“ ბუნებას.

დასკვნა

თუკი არსებობს პოლიციის ზედამხედველობის უფრო ფართო ტრაექტორია, თითქმის გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ეს ტრაექტორია საჩივრების სისტემაში დამოუკიდებლობის ელემენტის გაზრდაა; უფრო კონკრეტულად კი - საჩივრებისა და დისციპლინური გადაცდომების დამოუკიდებელი გამოძიების უზრუნველყოფისთვის ზომების მიღება.

ეს აზრია დაჭერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანთა უფლებების საბჭოს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში პოლიციის სერიოზულ დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებით; ანგარიშში ნათქვამია:

ეფექტური ზედამხედველობის განხორციელებისთვის, [გარეშე] სააგენტოს უნდა ჰქონდეს საკუთარი დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების ძალაუფლება. დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების კანონიერი უფლებამოსილების გარეშე, სააგენტოს მიერ განხორციელებული ზედამხედველობა მოწყვლადი იქნება პოლიციის გავლენის მიმართ. (Aston 2010: 22)

ამ ნაშრომის მიზანია იმის ჩვენება, რომ დამოუკიდებელი გამოძიების ჩარჩოს შემოღება მხოლოდ დასაწყისია და საკითხისთვის პრაქტიკოსების თვალთ შეხედვისას იბადება ორი მთავარი შეკითხვა. პირველი შეკითხვაა რას ნიშნავს იყო „დამოუკიდებელი“ - რა არის დამოუკიდებლობა პრაქტიკაში? როგორც ნაშრომშია განხილული, დამოუკიდებლობა არაა მხოლოდ ონთოლოგიური მდგომარეობა და არც კონკრეტული ინსტიტუციური ფორმა; ის კომპლექსური ცვლადი კულტურული ცნებების სფეროა და სამოქმედო ჩარჩოა. მეორე შეკითხვაა რა არის ის გარემო ფაქტორები, რომელთა პირობებშიც დამოუკიდებელ გამოძიებას უწევს მოქმედება და რა გავლენა აქვთ ამ პირობებს დამოუკიდებლობის განხორციელებაზე? როგორც ამ კითხვის პასუხად ირკვევა, საპოლიციო საჩივრების დამოუკიდებელი გამოძიების პროცესი მოიცავს „მარეგულირებელი წნეხის“ ძალებთან და დამოუკიდებლობის განხორციელების სხვა პოტენციურ ბარიერებთან მუდმივ ურთიერთქმედებას.

ამ დასკვნების მნიშვნელობა ვრცელდება ამ ნაშრომში განხილული საჩივრებისა და დისციპლინური გადაცდომების გამოძიების სამი კონკრეტული ორგანოს საზღვრებს იქით და თავად საჩივრებზე დაფუძნებული საპოლიციო მმართველობის საზღვრებს გარეთაც. დამოუკიდებლობა, როგორც ფარდობითი და ინტერაქტიული ცნება, სამართალდამცავი სისტემის სხვა ასპექტებისთვისაც მნიშვნელოვანია. მაგალითად, როგორც ზემოთ იყო ნახსენები, დამოუკიდებლობის დისკურსს წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა CPS-ის შექმნის საქმეში; ხდება რა პოლიციისა და CPS-ის შესატყვისი როლების ცვლილება დროთა განმავლობაში, დღის წესრიგში დგება პოლიციისგან დამოუკიდებელი პროკურატურის სისტემის სტატუსის განხილვა (Lewis 2006). თუმცა, თუკი დამოუკიდებლობას შედარებით პირობებში გავიაზრებთ, პროკურატურის დამოუკიდებლობა არსებითად პრობლემური, დათმობადი და შემთხვევითია. მართლმსაჯულების ან სხვა რომელიმე სფეროს ნებისმიერი დამოუკიდებელი ელემენტი ამ ჭრილში შეგვიძლია განვიხილოთ. ფორმალური ჩარჩოების ჩამოყალიბება გადაწყვეტილების მიღებასა და მოქმედებებში დამოუკიდებელი ელემენტის ინსტიტუციონალიზაციისთვის საქმის მხოლოდ ნაწილია. სწორედ დამოუკიდებლობის პრაქტიკული გამოცდილება - ამ ნაშრომში შესწავლილი დამოუკიდებლობის მუშაკების მიერ გამოხატული გზებით - განსაზღვრავს

დამოუკიდებლობას, როგორც მოქმედ ფილოსოფიას. უფრო მეტიც, თუკი, ან ნაშრომში განხილული შემთხვევების მსგავსად, ხსენებული პრაქტიკული გამოცდილება მოიცავს მჭიდრო პროფესიულ კავშირს მათთან, ვისგანაც ტექნიკურად დამოუკიდებელი უნდა ვიყოთ, მარეგულირებელი წნეხი მუდამ იარსებებს ამ ურთიერთობებსა და პროცესებში.

გაეროს წევრ ქვეყნებში საპოლიციო მმართველობის ჩარჩოები შეიცავს საპოლიციო საჩივრებსა და დისციპლინური გადაცდომების სისტემებში დამოუკიდებელი ელემენტის ზრდის ბაზას. ამის პარალელურად, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ ფორმალური ორგანიზაციული დამოუკიდებლობა არ მიიჩნევა თავად დამოუკიდებლობის თანაფარდად; დამოუკიდებლობის ინსტიტუციური ფორმები აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობაა ამ სფეროში საპოლიციო მმართველობის მიზნების განსახორციელებლად. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ამ ნაშრომში განხილული სამი სააგენტოს - PONI, IPCC და GSOC ჩამოყალიბების სრულიად განსხვავებული იმპერატივებისა და განსხვავებული კონსტიტუციური ჩარჩოებისა, რომელთა პირობებშიც უწყვეტ მათ არსებობა - მათ შორის არსებობს თვალშისაცემი მსგავსებები, რაც აისახა კიდევ ამ სააგენტოთა თანამშრომლების მიერ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის პოტენციურ ბარიერებზე საუბრისას, კონკრეტულად კი - პოლიციასთან სიახლოვის და პოლიციის მხარდაჭერაზე დამოკიდებულების საკითხების განხილვისას. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაში ჩართულმა პირებმა, შესაძლოა, ცალსახად „მარეგულირებელი წნეხი“ არ დაარქვან თავიანთ შეხედულებებს, მათ მიერ გამოხატული დამოკიდებულებები იმის აღიარებაა, რომ ამ წნეხის არსებობა მათ საქმეში თითქმის გარდაუვალია. ეს ყველაფერი საერთაშორისო საპოლიციო მმართველობის მიერ ასათვისებელ ზოგად გაკვეთილზე მიუთითებს. საპოლიციო სისტემებში ანგარიშვალდებულების გაზრდაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციური მექანიზმები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ წინასწარ იქნას გაცნობიერებული პოლიციის გრავიტაციული ძალის სიმძლავრე და ყოვლისმომცველობა.

დაფინანსება

კვლევა, რომელსაც ეს ნაშრომი ეფუძნება, დაფინანსებულია პორტსმაუსის უნივერსიტეტის მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა

- Ashworth, A. and Redmayne, M. (2010) *The Criminal Process*. Oxford University Press.
- Aston, P. (2010), *Report of the Special Rapporteur on Extrajudicial, Summary or Arbitrary Executions*. UN Human Rights Council.
- Bellamy, R. (1996), 'The Political Form of the Constitution: The Separation of Powers, Rights and Representative Democracy', *Political Studies*, 44: 436–56.
- Bichard, M. (2004), *The Bichard Inquiry Report*. The Stationery Office.
- Blaauw, E., Vermunt, R. and Kerkhof, A. (1997), 'Detention Circumstances in Police Stations: Towards Setting Standards', *Policing and Society*, 7: 45–69.
- Chan, J. (1996), 'Changing Police Culture', *British Journal of Criminology*, 36: 109–34.

Conway, V. and Walsh, D. (2011), 'Current Developments in Police Governance and Accountability in Ireland', *Crime, Law and Social Change*, 55: 241–57.

Criminal Justice Inspection Northern Ireland (2011), *An Inspection into the Independence of the Office of the Police Ombudsman for Northern Ireland*. Criminal Justice Inspection Northern Ireland.

Drewery, R. (2002), 'Independent Advisory Groups', *Criminal Justice Matters*, 49: 14.

EPAC (2011), *European Police Oversight Principles*. European Partners Against Corruption (EPAC).

Ferejohn, J. (1998), 'Independent Judges, Dependent Judiciary: Explaining Judicial Independence', *Southern California Law Review*, 72: 353–84.

Filstad, C. and Gottschalk, P. (2011), 'Performance Evaluation of Police Oversight Agencies', *Policing and Society*, 21: 96–109.

HASC (2010), *The Work of the Independent Police Complaints Commission*. The Stationery Office.

Hayes, M. (1997), *A Police Ombudsman for Northern Ireland?* HMSO.

Hudson, B. (2005), 'Information Sharing and Children's Services Reform in England: Can Legislation Change Practice?', *Journal of Interprofessional Care*, 19: 537–46.

Innes, M. (2007), 'Investigation Order and Major Crime Inquiries', in T. Newburn, T. Williamson and A. Wright, eds, *Handbook of Criminal Investigation*. Willan.

Laming, W. (2003), *The Victoria Climbiu Inquiry*. Home Office.

Lewis, C. (2006), 'The Prosecution Service Function within the English Criminal Justice System', in J. Jehle and M. Wade, eds, *Coping with Overloaded Criminal Justice Systems: The Rise of Prosecutorial Power Across Europe*. Springer.

Macpherson, W. (1999), *The Stephen Lawrence Inquiry*. Home Office.

Makkai, T. and Braithwaite, J. (1992), 'In and Out of the Revolving Door: Making Sense of Regulatory Capture', *Journal of Public Policy*, 12: 61–78.

McGarry, J. and O'Leary, B. (1999), *Policing Northern Ireland: Proposals for a New Start*. Blackstaff Press.

Morgan, R. (2004), 'Thinking about the Probation Service', *Howard Journal of Criminal Justice*, 43: 79–92.

Mulcahy, A. (2006), *Policing Northern Ireland: Conflict, Legitimacy and Reform*. Willan.

Owers, A. (2006), 'The Protection of Prisoners' Rights in England and Wales', *European Journal of Criminal Policy Research*, 12: 85–91.

Patten, C. (1999), *A New Beginning: Policing in Northern Ireland: Report of the Independent Commission on Policing for Northern Ireland*. HMSO.

Phillips, C. (1981), *Report of the Royal Commission on Criminal Procedure*. HMSO.

Prenzler, T. (2000), 'Civilian Oversight of Police: A Test of Capture Theory', *British Journal of Criminology*, 40: 659–74.

——(2004), 'Stakeholder Perspectives on Police Complaints and Discipline: Toward a Civilian Control Model', *Australian and New Zealand Journal of Criminology*, 37: 85–113.

——(2011), 'The Evolution of Police Oversight in Australia', *Policing and Society*, 21: 284–303.

Prenzler, T. and Ronken, C. (2001), 'Models of Police Oversight: A Critique', *Policing and Society*, 11: 155–80.

Sackman, S. (1991), *Cultural Knowledge in Organisations*. Sage.

——(1992), 'Culture and Subculture: An Analysis of Organisational Knowledge', *Administrative Science Quarterly*, 37: 140–61.

- Savage, S. (2007), *Police Reform: Forces for Change*. Oxford University Press.
- Schein, E. (1985), *Organisational Culture and Leadership: A Dynamic View*. Jossey-Bass.
- Seneviratne, M. (2004), 'Policing the Police in the United Kingdom', *Policing and Society*, 14: 329–47.
- Smith, G. (2004), 'Rethinking Police Complaints', *British Journal of Criminology*, 44: 15–33.
- (2009a), 'A Most Enduring Problem: Police Complaints in England and Wales', *Journal of Social Policy*, 35: 121–41.
- (2009b), 'Citizen Oversight of Independent Police Services: Bifurcated Accountability, Regulation Creep and Lesson Learning', *Regulation and Governance*, 3: 421–41.
- (2009c), 'Why Don't More People Complain Against the Police?', *European Journal of Criminology*, 6: 249–66.
- Waters, I. and Brown, K. (2000), 'Police Complaints and the Complainants' Experience', *British Journal of Criminology*, 40: 617–38.
- Weitzer, R. (1995), *Policing Under Fire: Ethnic Conflict and Police-Community Relations in Northern Ireland*. SUNY Press
- Williamson, T. (2007), 'Psychology and Criminal Investigation', in T. Newburn, T. Williamson and A. Wright, eds, *Handbook of Criminal Investigation*. Willan.